

# ଲକ୍ଷ୍ମୀବିଦ୍ୟା

ପ୍ରକାଶନକାରୀ ପରିବାରର ଲକ୍ଷ୍ମୀବିଦ୍ୟା

ପ୍ରକାଶନ ନଂ 97.

ପ୍ରକାଶନ ତାରିଖ 3 ମାର୍ଚ୍ଚି 1909 ଫି.

ଫର୍ମ ନଂ 18.



ପ୍ରକାଶନ ତାରିଖ 3 ମାର୍ଚ୍ଚି 1909 ଫି.

ის არაფერს არ იტევის...

პარდო-ბაზანისა.

ჯალათებმა დამნაშავე წაიყვანეს ბნელ ნესტიან ციხი-  
დან, სადაც იგი ჩალაზედ იწვა ბორკილებით შებოჭილი.  
წაიყვანეს საწამებლად.

უშველებელს საწამებელ დარბაზის კედლებზე აუარებე-  
ლი საწამებელი იარაღი ეყიდა. ისეთი იარაღი, რომელიც  
დაუყოვნებლივ აგრძნობინებენ ადამიანს ტკივილს.

დამნაშავე ამ დარბაზში შერყეულის ნაბიჯით შევიდა.  
ციგმა ოფლია დასხა. ძლიერსა სუნთქვდა, ილრჩებოდა.  
ჯალათებს რომ არ შეეკავებინათ, უთუოდ წაიქცეოდა.

— დავიჯერო ასე ეშინიან ახალგაზრდა გრაფს? — და-  
ცინა ერთმა ჯალათმა: — მაშ გამოტყდეს, ვიდრე სისხლი  
არ დაღვრილა ოფლის მაგიერ!

ტკივისაც სწორედ ამისი ეშინოდა.

გამოტეხა! ამისი უფრო ეშინოდა, ვიდრე წამებისა. და-  
კარგვა პატივისა! წამებით შეშინებულის სულის დაღუპვა!  
გამოტეხა სიკვდილის წინ ყვირილში!

იმდი აღარაფრისა ჰქონდა.

ერთი სურვილი-და დარჩენოდა მხოლოდ: ძალა დაეტა-  
ნებინა თავისთვის და ჩუმად ყოფილიყო, ჩუმად, ჩუმად! არ  
გაეცა დანარჩენი შეთქმულები.

ისე აცემინებდა კბილი-კბილს, რომ ერთმა ჯალათმა  
უთხრა მეორეს:

— უყურე ამ სულელს, ჯერ ცეკვა არ დაუწყვია და  
კბილს კბილზე კი აცემინებს.

ერთმა ჯალათმა წააწიალა გრაფი, მეორემ ბორკილები  
მოხსნა, დანარჩენშა ორმა ბლაია დასდგა საწამებლად.

როდესაც უშველაფერი მზად იყო და დააპირეს დამნაშა-  
ვის ბოძებ მიბმა, კარებში გამოჩნდა ახალგაზრდა დელაკაცი,  
არა-ჩეელებრივის სილამაზისა, დიდებულის შეხედულებისა,  
ორის მოახლითურთ. მეფის მოადგილის ქალის წინაშე ჯა-  
ლათებმა დაბლა დაბრე თავები.

საწამებლად განმზადებულიც მიაჩერდა დონნა კატარი-  
ნას. რა მოუტანა ამ ქალმა? თავისუფლება? წამებისაგან  
გადარჩენა? ეს ქალი ხომ საყვარელია უუნგერედიასი, რომე-  
ლიც მოთავე იყო შეთქმულებისა...

— ცოტა ხანს იქით წადით, — უთხრა მშვენიერმა ჯა-  
ლათებს: — უნდა მოველაპარაკო გასამართლებულს და ვე-  
ცადო წამების გადარჩენას: იქნება ვიპოვო რამე საშუალება  
და ავალაპარაკო, გამოვტეხო.

დონნა კატარინა მიუახლოვდა საწამებლად გამზადე-  
ბულს.

— მითხარი... გაკანკალებს?.. მითხარი, შეგიძლიან  
დაპტარო საიდუმლო?

— არ ვიცი ..

— უნდა დაპტარო, — წასჩურჩულა მან, — არ უნდა  
დაასახელო იგი...

— არც მე მინდა მისი დასახელება, მაგრამ რა იქნება,  
მე რომ ჩემს ნებაზე უფრო სუსტი აღმოვჩნდე? რა იქნება,  
რომ...

სიტყვა ვეღარ დაათავა.

— ჩუმათ იყავი, დაიჭი ეს, — უთხრა კატარინამ და ხელში  
აბა ჩაუდო.

— ეს რა არის? — ჰქითხა განცვიფრებულმა ტკივემ.

— უტყუარი საშუალება, რომელიც ინდოეთიდან მო-  
მიტანა ჩემმა ბიძამ. ფაკირების საშუალებაა, ჰქლავს გრძნო-  
ბას და ადამიანის სხეულს შეძლებას ძძლევს აიტანოს ყო-

ველგვარი წამება... ისე მცირედ ჰგრძნობს ტკივილს, რო-  
გორც ქვა ჩვენის ფეხის სიმძიმისაგან...

— დარწმუნებული ხართ... ამაში დონნა კატარინა? —  
ჰქითხა აღელვებულმა ტკივემ.

— რასკვირველია! — ღიმილით მიუგო კატარინამ და  
მიუახლოვდა ჯალათებს: — ჩემმა ცდამ ფუჭად ჩაიარა,  
ასრულეთ თქვენი მოვალეობა: არ შემიძლიან ამისი გამო-  
ტება.

დონნა კატარინა მიუბრუნდა მოახლეებს და ანიშნა,  
უკან მიჰყოლოდნენ. უკანასკნელთ მიმედ თავი დაუკრეს  
და გაჰყვნენ ქალბატონს.

ჯალათნი მიუახლოვდნენ ტკივეს, რომ შეეკრათ იგი,  
მავრამ მან ხელი ჰქირა, ახლოს არ მიიკარა. მას თთოვე და-  
უბრუნდა წინანდელი მხნეობა და ვაუკაციბა: აშაყად თი-  
თოვე მივიდა საწამებელ იარაღთან.

როგორც სასწაულს, ისე უყურებდნენ ჯალათნი ამ  
სრულიად გამოცვლილს ყმაწვილ კაცს. ტკივე უცბად წარ-  
ბაცბაცდა და წაიქცა მოკვეთილ ხესავით. როდესაც ჯალა-  
თებმა ასწიეს წამოსაყენებლად, იგი უკვე მკვდარი აღმოჩნ-  
და.

ვერც ჯალათებმა და ვერც შეფას მოადგილის მშვენი-  
ერმა ასულმა ვერ ათქმევინა მას ვერაფერი: საიდუმლო თან  
ჩაიტანა სამარეში.

ნიკო ასლამაზიშვილი.

### ღ ა მ ე.

ლამეა... შავი ლრუბლები  
ჩამოშვებულან ბარალა,  
ტიალ მინდორზე ლრიალით  
ქარი ჰქირის გლოვის ზარალა.

წყვდიაღში ჰქიება სიცოცხლე  
მკვირცხლი და ნათელ-მზიანი,  
ისმის ხრიალი სულთ-ხლომის  
გულ-მგმირავ კავშნიანი.

დუხჭირ ცხოვრების მთაზედა  
დაპტრის სატანა წყეული  
და ხალხის ჭირზე ხითხითებს  
კვესკნეთით გამოწვეული.

ცაო! განრისხდი, იელვე,  
კმარა ტანჯვა და წუხილი!  
სიჩუმეს მიეც საზღვარი,  
გვამუნე, მეს მსრბოლი ქუხილი.


მაგრამ... ლამეა საზარი,  
ვერარას ჰქედვენ თვალები,  
გული ჰკვენეს, გული ქვითინებს  
მარად უაშ განაწვალები.

გოგა უიშვილი.

### შ ე ს გ ე დ რ ა.

(რატაუზიდან)

ჯერ იქ გიხილე მბრწყინავ დარბაზში,  
სადაც ლხინის ხმა ჰერს არხევდა,  
ნორჩი იყავი და ბელნიერსა  
შვებით სხეული გიცახცახებდა!..



ახელ-რიზა და ახალგაზრდა იუნიტა აუცილებელი.

კარებში სდგას პალატის პრეზიდენტი ამერიკია. ახალგაზრდა ოსმალთა აფიციურები ერთგულებას უფხადებენ კონსტიტუციას. აფიციურებს უბრალო, სალდათის ტანისამოსი აცირათ.

ოცნება იყავ თვით ხორც-შესხმული,  
ეთეროვანი, ცალ მონავარდი  
და ირხეოდა შენს ლამაზ მკერდზე  
მეტ სამკაულად ფერ-მკრთალი ვარდი!..

გავიდა წლები. შევბის ძებნაში  
ვეხეტებოდი მე გულ-საკლავად  
და, აპა, შენი ღვთიური სახე  
კვლავ გამიბრწყინდა ციურ ვარსკვლავად!..  
შემოგვეხოდნენ ირგვლივ შვილები,  
შესტროუდი იმათ მომავალ ბედსა  
და ისევ იგი ფერ-მქრთალი ვარდი  
რხევით, ცახცახით გიმკობდა მკერდსა!..

მიჰქოდნენ დღენი და მე კი ისევ  
შენზედა ფიქრი მასულფგმულებდა...  
მაგრამ აწ ვიღაც უცხო ალექსით  
„შენ ჩემი ხარო!“ — ჩაგრუჩულებდა!..

და ცოდვას შენსას ბუჩქნარი იგი,  
ვით საიდუმლოს, დაპფარებოდა;  
ხოლო კი ვარდი — იგივე მკრთალი  
ისევ შენს მკერდზე გამოჰკრთებოდა!..

ჭიქათ წყარუნი რალაც მომესმა,  
მიმოვიხედე — რა დავინახე :  
ბიშიერება ! და როსკიპთ შორის  
მოსჩანდა ჩემი ნაცნობი სახე ! ..

ხოლო ყვავილი — იგივე მკრთალი  
კვლავინდებურად შენს მკერძოე თრაოდა!..

გუშინ ურმითა კუბო მიჰქონდათ,  
ობლად, ზედ ცრემლებს არვინ აფრქვევდა;  
გაღმოვიხედე და შენს ცივ სახეს  
ზედ აღბეჭდოდა ნაღველი, სევდა!..  
გაპერა დუღილი მწვავე ცხოვრების,  
ჩაპერა შენს თვალთა ცეცხლ-ნაპერწყალი;  
მკერძე კი ობლად დაგთამაშებდა  
იგივ ცყვავილი — ვარდი ფერ-მკრთალი!..

/3. თომაშვილი

ოღონდ შენ, ტურთავ!

ყველას ავიტან, ყველაფერს დავძლევ,  
გულ-მკერდს მიუშვერ თვით მტრისა ლახვარს,  
ოლონდ შენ, ტურფავ, ჩემო სიცოცხლევ,  
შენსა მეგობარს  
ნუ მესვრი ისარს !

\* \* \*

ვნების ნიავმა ღამკვნეს-ღამქროლა,  
გადამიუფურჩქნა გულის ყვავილი,  
ოცნების ზღვაში გადამისროლა  
გულ-ღაკოლილი  
ტრფობით აღვხილი

\* \*

ჰანგებს მოხიბლველს ყურს ჩაგჩურჩულებ,  
შენს ლვთიურს მკერდზე ცრემლად დავლნები, —  
ოლონდ შენ, ტურფავ, ნუ შემიძულებ,  
ნუ გამშორდები —  
გემუდარები ! ..

୧୦୩



საგ-საგელ-სალტანე.,

ბახტიარების ჭანი, რომელმაც ისპანიანი აიღო და შეას დაემუქრა, თუ კონსტიტუციის არ განაახლებ, თავრიზის ასაღებ ჭამოვალო.

სიკვდილი.

၁၅၁၄ ၂၀၂၁  
၁၁၁၈ ၁၉၁၈ ၁၉၁၈ ;  
၁၉၁၈ ၁၉၁၈ ၁၉၁၈ !

ის იჯდა ჩემ წინ,  
შაგრამ არა ჩონჩხად ჭკეული,  
ცალ ხელში ცელით,  
თეთრ სუდარა შემოხვეული,  
როგორც ხატავენ  
ჩვეულებრივ ცველანი სიკვდილს ;  
იგი ჰგავდა ქალს,  
დარბაისელს, შავებით მოსილს,  
და მისი სახე,  
თან სასტიკი, თან დიდებული,  
რაღაც უცნაურ .  
ცივ სინათლით გაბრწყინვებული,  
ჰფენდა მწუხარ გულს  
საიმქვეყნო ნეტარებას,  
და მავიწყებდა  
ამ ქვეყნიურს მღელვარებას ! ..  
„მე ვარ სიკვდილი“,  
შემესმოდა მისი ხმა წყნარი :  
„ბევრი იტანჯე,  
„დაისვენო ახლა დრო არი !  
„გახსოვს, პირველად  
„რომ გეწვივ, იყავ ოცის წლის,  
„და დაგენანა  
„მოშორება მაშინ ამ სოფლის;  
„მაგრამ, ხომ ხედავ,  
„სიჭაბუკის გაქრა ოცნება  
„და ბედკრულს მხოლოდ  
„ტანჯვით სავსე გერგო ცხოვრება ?  
„ხომ ხედავ, რომ მე სულაც არა ვარ  
„ისე საშიში, როგორც გვინივარ ?  
„წავიდეთ ჩემთან, მე მიგისვენებ  
„გულზე, ვით დედა, და მოგასვენებ ! ..“  
მეც მზად ვიყავი, დავთანხმებოდი,  
მიმეტაც ხელი და წავყოლოდი,  
„მამა, მამა ! -ო“, რომ შემომესმა  
და გულში ჩამწვდა მაშინვე ეს ხმა.  
გამოვერკვიყი და დავინახე  
ჩემ წინ მდგარ ბავშვის შემკრთალი სახე.  
ის ხელს მკიდებდა, მეფერებოდა,  
„როგორა ხარ ! ! -ო, მეკითხებოდა...  
შეწუხებულმა სიკვდილს გავხედე,  
მაგრამ მას კვლავ იქ ველარ შევხედე...  
ბავშვის სიყვარულს თუ ვერ გაუძლო  
და მიმატოვა, კიდევ ვიცოცხლო ? ..  
ღურუ მეგრელი.

## გეგმიბრებს

წარმართ დროთა სვლამ და უკულმართ ფამია სრბოლამა  
თქვენც დაგაჭდიათ, მეგობარნო, თვისი ბეჭედი :  
ის აღარა ხართ, რაც იყავით... ვაი სირცხვილო...  
ვის წინ მოხრილა ამაც მებრძოლთ ამაყი ქედი ! ..

მგზავრს, — გზის დამკარგავს, ბრძოლის ველზე გმირს  
ვითარ შეშვენის დაემონოს უიმედობას ; [დამარცხებულს  
ვინც გამარჯვებას მტერზე ნდომობს — ჰმართებს იბრძოლოს  
და წინ აღუდგეს შავ-ბნელ ხვედრის უსამართლობას !

გმირიც ის არის, დაჭრილ მკერდ ქვეშ ვისაც იმედით  
ძლიერად უცემს ღვთიურ ცეცხლში ნაწრობი გული  
და, ვით ამაყ მთას, შეუპოვარს, შეურიგებელს,  
ქედსაც ვერ უხრის ქვეყნად ტანჯვა გამეფებული.

მაშ კვლავ შემოკრბით ბრძოლის ველზე და კვლავ აღ-  
შეურიგებელ მებრძოლთ დროშა სისხლში ნაბანი ; [მართეთ  
ახალს ცხოვრებას გმირი შვენის მებაირახტრედ —  
რის მაქნისია მკაცრ ბრძოლაში ლაშარ-ჯაბანი ? !


მეც თან მოგყვებით .. განუყრელად თქვენთან ვიქნები...  
გმირულ სიმღერით გულს გაგილხომთ, გაყინულ გულსა  
და თვით გასწავლით, როგორც შვენის ომში სიკვდილი  
გმირსა უშიშარს, სალ-კლდეთ ჭკეულს გმირსა რჩეულსა!

ლადო ახობაძე.


## წვრილი ამბები

**ოქტო 1908 წელს.** ზარშან ბევრად უფრო მეტი ოქრო დაუმუშავებიათ, ვიდრე 1907 წელს. ზარშან წინ მთელ ქვეყანაზე დედამიწიდან ამოუღიათ 2,068 მილიონ მანეთის ოქრო, ზარშან კი — 2,181 მილიონ მანეთისა, ე. ი. 112 მილიონით მეტი. ეს ოქრო სხვა და სხვა ქვეყანაზე ასე განაწილდება :


რუანსვაალი	728	მილიონი
შეერთებული შტატები	481	"
ავსტრალია	371	"
რუსეთი	187	"
მექსიკა	94	"
როდეზია	66	"
ინდოეთი	55	"
ჩინეთი		
იაპონია	52	"
კორეია		
კანადა	47	"
დანარ. ქვეყნები	150	"



დედა (ქალი) — ფრთხილად იყავი, არ დაგვე- ქართველი.



დედა — გვიშველეთ, დავიღუბენით !



დედა — ღმერთმა გაკურთხოთ, შეიძლებო, და გაგაბენიეროდ.